ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 3
(74) 1998
3 თებერვალი

## $ ისმინე, ფულის მძებნელო!

(მე-3 გვერდი)



მე-10 გვერდი

კროუფ(ვ)ორდი შეყვარებულთათვის, შესაყვარებელთათვის და შეუყვარებელთათვის




## თებერვალი დადგა

(მე-9 გვერდი)



## Anekdotos

„მსუბუქი ეროტიკა ჯანმრთელობის სამსახურში“



(მე-2 გვერდი)

კროსვორდი

## ფოტოემმაკობანი

და პოლიტიკა (?!)



„ფანტაზიის“ ბალერმა

KIM BASINGER

მე-12 გვ.

„ფანტაზიის“ საფირმო ილუსტრირებული 112 სიტყვიანი სუპერკროსვორდი

(მე-6-7 გვერდი)

87. მაშ, რა იყო (....და არის?!) ქართველი „ძველი ბიჭების“ ძირითადი პროფესია სარფი-ქუთაისი-თბილისის შოა-მაგისტრალზე?

| 87 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 90 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| 97 | | | | | | |
| | | | | | | |















## ? კროსვორდის შევსებისას, გთხოვთ, დროდადრო ნუთიერი დუმილით პატივი სცეთ ზოგიერთი ანალარარსებული ფენომენის ხსოვნას. !

(თარაზული და შვეული კითხვები ერთადაა ჩამონიკნიკებული)

**1**. გაიხედეთ მარცხნივ და ზემოთ და... იცანით? **2**. როგორი ეგონათ ჩვენი „დიადი სამშობლო“ მარადიულობისა და ფლორის ფაქტორების გათვალისწინებით? **3**. როგორი იყო ზოგიერთი (ზოგიერთი, ბატონო!) ჩვენი და თქვენი (...და იმათიც!) ლიდერი მაინ რიდის ფაქტორის გათვალისწინებით? **4**. რა იყო დისიდენტური მოძრაობა... კომუნისტური „ვარდბულბულიანის“ ფაქტორის გათვალისწინებით? **5**. რა შეიძლება აეგდო ზოგიერთ პარტმუშაკს პრინციპულ საკითხებში... თავის შეშვერის ფაქტორის გათვალისწინებით? **6**. გაიხედეთ მარცხნივ და ქვემოთ... არ თქვათ, ვერ ვიცანითო?! **7**. ჩვენი „დაკარგული სამოთხე“! (***დუმილი არ დაგავიწყდეთ! – რედ.***) – ირონიის ფაქტორის გათვალისწინებით (ორი სიტყვა). **8**. მღვიმის ფსკერიდან აღმართული კონუსისებრი წარმონაქმნი. **9.** ზეიმის სახესხვაობა. **10**. გაიხედეთ მარჯვნივ და ზემოთ... იცანით, ბატონო! – თავს ნუ იკატუნებთ! **11**. ქართული სახელოვნებო სინამდვილის ყველაზე ანარქისტული სუბიექტი. **12**. გასახედი მარჯვნივ ქვემოთლა გაქვთ და უეჭველად... იცნობთ; მერე მისი მოფერებითი სახელიც გაიხსენოთ! **13**. იგივეა, რაც ცეკვა. **14**. (***დუმილი!***) რა ეროვნების ეგონათ ჩვენი ერის დიდი შვილი... ბოროტ ენებს? **15**. ახლო წარსულის იუგოსლაველი მოჭადრაკე დიდოსტატი. **16**. (***თარაზულად***) სახელი, რომელიც ქალსაც ჰქვია და კაცსაც საქართველოში. (***შვეულად***) ბულგარული იუმორის ცენტრი. **17**. ბრალდების თავიდან აცილების საშუალება. **18**. მდინარე გერმანიაში. **19**. ჩვენგან ყველაზე მეტად გაფალსიფიცირებელი სითხე. **20**. იგივეა, რაც 91 სანტიმეტრი. **21. იხილეთ ფოტო!!!** **22**. საოცრებათა ქვეყანაში მოხვედრილი გოგონა. **23**. ქალაქი „ტბებისა და ტყეების ქვეყანაში“. **24**. ქართველთა ერთ-ერთი საყვარელი თამაში. **25**. პარიკმახერის „კოლეგა“ ორნითოლოგიიდან. **26**. რადიოდანადგარების აუცილებელი ელემენტი. **27**. თანამედროვე რუსი პოეტი–Песенник, ლევ... **28** ამ ბოლო დროს საქართველოში აგრერიგად მომრავლებული „იმედი უპოვართა“.

### თარაზულად

5. გეომეტრიული ფიგურა. 9. ვინ იმალება კროსვორდის ჩარჩოს მიღმა? 10. რა აწვება ზურგზე დაოჯახებულ ადამიანს? 11. მე-2 მსოფლიო ომის დროინდელი რუსი (საბჭოთა) მხედართმთავარი. 12. რა სჭირდება სახელმწიფო ხელისუფლებისაგან? 13. საბჭოელი დამკვრელი და მისაბაძი მუშა. 15. ზმნა „მისევა“ – მე-2 სერია, წყვეტილი, მე-3 სუბ. პირი, ორი მე-3 ობიექტური პირი (აკი საჭირო არ არისო გრამატიკის ცოდნა?) 16. მონღოლი მმართველი დაპყრობილ ტერიტორიაზე. 17. გამოყვანილი თევზი. 18. ღვინის ვაჭარი. 21. ლათ. ამერიკის სახელმწიფო. 22. სასკოლო ცნება. 24. (კიდო!) ლათ. ამერიკის სახელმწიფო. 25. „მწეველი ცხოველი“. 26. საცხენოსნო თამაში. 27. ქართველი მხევარი ქალი.



### შვეულად

1. კროსვორდის უკან დამალულ კაცთან მებრძოლი ქართველი მხედართმთავარი. 2. მე-2 მსოფლიო ომის დროინდელი რუსი (საბჭოთა) მხედართმთავარი. 3. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 4. რთული სიტყვების შემადგენელი წინსართი... ბერძნულად – „შიგნით“. 6. წელთან დაკავშირებული უამურება. 7. უძველესი ირანული რელიგიის წინასწარმტყველი და რეფორმატორი. 8. ქართველი საოპერო მომღერალი მამა-შვილის გვარი. 14. რუსი და პოლონელი მუშების რევოლუციური სიმღერა. 17. სამოხელეო ჩინი რევოლუციამდელ საქართველოში. 18. ტექნიკური ჭურჭელი. 19. ყველაზე ცნობილი კარდინალი. 20. ფაკულტეტის ხელმძღვანელი. 21. დედამიწის უკიდურესი წერტილი. 23. თერძის სამუშაო იარაღი.

# რჩევები... რჩევები



ახალი წლის ზეიმურობამ სულ ახლახანს პიპინ-გრიალით ჩაიარა და დარწმუნებულნი ვართ, მრავალმა თქვენგანმა სიკეთესთან და ბედნიერებასთან ერთად ბევრი ფულიც ისურვა... გულში მაინც! ფულის შოვნაზე გვერდით ლექსად გესუბრებით, აქ კი მის შენარჩუნებაზე გვსურს ორიოდ სიტყვა გითხრათ. აბა, თუ გსმენიათ იმ გამოკვლეული ფაქტის შესახებ, რომ 100 ბიზნესმენიდან მხოლოდ ოთხი მდიდრდება საბოლოო ჯამში, ყველა დანარჩენი კი შოულობენ ფულს და მალევა კარგავენ მას. ჰოდა, გვისმინეთ (ბიზნეს-მეცნიერების აზრებს გადმოგცემთ):

**პირველი რჩევა**:

თუ ორიოდე კაპიკი იშოვეთ და მის გადანახვას აპირებთ, გიჯობთ ისევ რამე საქმეში ჩადოთ, ვიდრე მუთაქები „გამოკვებოთ" ამ ნოყიერი საკვებით. მართალია, ძნელია ახლა კრინტი დაძრა იმის შესახებ, რომ რომელიმე ფირმის ან კომპანიის საქმიანობაში ჩაერიეთ და იქ დააბანდეთო ფული, რადგან ყველას კარგად ახსოვს სულ ახლახანს გარდაცვლილი ე.წ. გარდამავალი პერიოდი, როცა ხალხი მავან „ჭლპლ-International" კომპანიებს ენდო და საბოლოოდ მოტყებული დარჩა, მაგრამ მაინც სჯობს მოიძიოთ რომელიმე პატიოსანი დაწესებულება და მათ ანდოთ თქვენი ფულით ფულის კეთება, ვიდრე ხსენებული მუთაქები გაიხადოთ საოჯახო რელიქვიად. ასეა თუ ისე, ფულის უძრაობას მისი მოძრაობა სჯობს და ეს ყველა იდეოლოგიის პოლიტეკონომიურ სწავლებათა ქვაკუთხედია. ერთი სიტყვით, მიტუასი არ იყოს — „შეირთავ, ინანებ, არ შეირთავ და მაინც ინანებ... ბარემ შეირთეთ, რაღა!"

**მეორე რჩევა**

ფრთხილად იყავით საკუთარი ოფლით ნაშოვნი ფულის გასესხებისას. ხომ გაგიგონიათ — „თუ გინდა, რომ კაცი დაკარგო, მას ფული ასესხეო".

...და თუ თქვენი ხასიათის სირბილე (და ჰუმანურობა) არ გაძლევთ იმის უფლებას, რომ აბეზარი მთხოვნელი უკმეხად მოიცილოთ თავიდან და, რა თქმა, უნდა გენანებათ საკუთარი ნაოფლარის საეჭვო ხელში ჩაგდება, გირჩევთ, მეორე დღისათვის გადადოთ საბოლოო პასუხი; იმ მეორე დღეს კი ფრთხილად შეაპარეთ რაიმე რჩევა იმის შესახებ, რომ მთხოვნელმა თავად გამოიმუშავოს მისთვის საჭირო ფული... ერთი სიტყვით, შეიქმენით თავდაცვითი იმუნიტეტი.

**(ქიდო!) რჩევა**

თუ თქვენ ნორმალურ ბიზნესთან გაქვთ ურთიერთობა და მოგეცათ საშუალება აქციების შეძენისა, ეს აქციები შეიძინეთ მაშინ, როცა მათი ფასი მაქსიმალურად დაეცემა, რადგან ბიზნესს ერთი დაუწერელი კანონი გააჩნია — თუ რომელიმე საქონლის ფასი ძალზედ იზრდება, ეს იმის მომასწავებელია, რომ მისი ფასი სულ მალე დაეცემა და პირიქით — ყველაფერ გაიაფებულს გაძვირების უცილობელი პერსპექტივა გააჩნია. თუ უფრო მეტად გსურთ დაკონკრეტება, მოგახსენებთ, რომ ადამიანის მოუთმენლობის ფაქტორი მისი ერთ-ერთი დიდი შეცდომის მიზეზი ხდება ხოლმე: ყველას ჰგონია, რომ ფასების განუხრელი ზრდა შეუჩერებელი პროცესია და ცდილობს ფულის დაბანდებას გაძვირების პროცესში მყოფ საქონელში, არადა, ერთ მშვენიერ დღეს ირკვევა, რომ ფული ქარისთვის გაგიტანებიათ...

ერთის სიტყვით, გისურვებთ იმ 96 კაცში არ მოხვდეთ, რომელთაც, მეცნიერების თქმით, გაკოტრება ემუქრებათ.

## ახალი თაობის პოეზია

ისმინე, ფულის მძებნელო,
გაიგე, ჩვენი აზრები:
ჯერ რაიცენტრებს ისწავლი? —
როცა ჯიხურებს ისწავლი,
მერე იხილე ბაზრები,
ჯერ რაიცენტრებს ეწვიე
(ადრე რომ ერქვა მაზრები)
და საშოპტურო საქმისთვის
მერე დალახე საზღვრები.

შენ ფული ისე აკეთე,
სხვას არ მიაგო ზიანი,
თავად იშრომე — ღამით თუ
დღე გიდგას ნათელ-მზიანი,
იყავ საქონლის უშაროდ
მიმტან-მომტანი, გზიანი,
და გამუდმებით იკითხე
ლავრენტი არდაზიანი.

გვერდში დაუდექ ერთგულ
სპეკულანტებს და ბარიგებს,
ვინც იმათ მხარში არ უდგას,
სულ აგებს, არსად არ იგებს,
ყური მიუგდე რეკეტის
უფროსს, ჭკუას რომ
გარიგებს,
და მალე შენც მოგეწევა,
ღმერთი რომ ჩამოარიგებს.

ლექსის ბოლომდე, ძმობილო,
ერთ რჩევას კიდევ მოგცემდი:
ფულს თუ ისესხებ, იჩქარე,
დროზე მიეცი პროცენტი
(სანამ დოლარად იქცევა,
შენ რომ ისესხე (ml) ცენტი!),
ამ საქმით ბევრი გაფუჭდა,
ინჟინერი თუ დოცენტი!

გახსოვდეს, ფული მზეა და
დემოკრატიის ღერძია,
მის ჰოროსკოპზე წრიალებს,
ქალწულია თუ ვერძია,
ვინც ფულის ყადრი არ იცის,
ვაჰ, რომ ეშმაკის კერძია,
ღმერთს კაცი წუთისოფელში
ფულისთვის ჩაუძერწია.

თუ გინდა, კაცი იყო და
ჯიბეში გედოს „Nokia",
ფული აკეთე, რადგანაც
უფულო კაცი ჭოკია,
ფულიანს ყველა გზას აძლევს,
არავის "დაუბლოკია",
უფულობა კი წყევლაა,
ინფარქტია და შოკია.

ჰოდა, მიდექ და მოდექი,
საქმე მიუშვი ნებასა,
ფული იშოვე, ამქვეყნად
თუ ეძებ გემოვნებასა,
იჩქარე, განზე არ დარჩე,
სდიე სავაჭრო მცნებასა:
თავს ფულის შოვნა სჯობია,
ბოლოჟამს ვალის დებასა.

დღეს ფულზე გადამკვდარია,
ქალაქია თუ სოფელი,
ფული ცხოვრების მახეა,
თავისა გასაყოფელი,
რაც გინდათ ის თქვით,
მე კი ვარ
(საზიზღარ) აზრზე მყოფელი:
თუ კაცსა ფული არა აქვს,
გასცანჯავს წუთისოფელი.



*საფრანგეთი:*

## საეჭვო წარმოშობის ეროვნული ღირსება

ადამიანები დროის ფაქტორს დემონური იდიოტიზმით უკავშირდებიან. ყველაფერი ის, რაც ძველია და რომელიმე დიდ პიროვნებასთანაა დაკავშირებული, რაღაც განუზომელი მნიშვნელობით აღიქმება. ამ იდიოტიზმის აშკარა დადასტურებაა ფაქტი, რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტეს სახელს უკავშირდება, ანუ: ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ, როგორც წესი და რიგია, მისი გვამი ექიმმა გამოიკვლია და წმინდა ელენეს კუნძულზე მყოფმა ადგილობრივმა მედიკოსმა ერთობ უცნაურად იძია შური საფრანგეთის დიქტატორზე. მან, ცნობისმოყვარეობისა თუ სხვა ქვენა გრძნობების გამოისობით, გვამის გაკვეთისას მონარქს „მამაკაცური ღირსება" მოჰკვეთა და საკუთარ „არქივში" შეინახა.

ევროპის დიდი დამპყრობის კუთვნილი ინტიმური „ნივთი" თითქმის 100 წლის შემდეგ კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ეს მოხდა 1924 წელს ნიუ-იორკში გამართულ აუქციონზე. ამ აუქციონზე ნაპოლეონის „იარაღი" ზღაპრულ ფასად შეიძინა ექიმმა ჯონ ლატიმერმა, რომელიც თურმე ისტორიულ კურიოზებს აგროვებდა. იმავე წელს ჟურნალ „კოლამბიაში" ამ ექიმმა ასე დაახასიათა შეძენილი ნივთი: „ეს არის თითისტოლა, გამოფიტული და მუმიფიცირებული რამო".

იმპერატორის მამაკაცურმა ღირსებამ სკანდალებს დახარბებული ბომონდის განუზომელი ინტერესი გამოიწვია, რაკიღა არსებობს ისტორიული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ამ „ინტიმური იარაღის" პატრონი სასიყვარულო ასპარეზზე გასაოცარი მოხერხებულობით ხმარობდა თავის „ღირსებას".

ექიმ ლატიმერის კოლექციის უჩვეულო ექსპონატმა დააინტერესა არამარტო ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრის უროლოგიური განყოფილება, არამედ მწერალი ჯონ ვერნონიც, რომელმაც დაწერა ეპოპეა „საუკუნეებში ჩაკარგული პენისი"-ს შესახებ.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აწგარდაცვლილმა დირექტორმა უილიამ ქოლბიმ არაერთხელ გამოაქვეყნა აღშფოთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ ამერიკას უკანონოდ აქვს მითვისებული ეს ფასდაუდებელი რელიკვია. მისი თქმით: „ჩვენ ვალდებულნი ვართ საფრანგეთს დავუბრუნოთ მისი ეროვნული ღირსება, რადგან ეს ფრანგი ხალხის კუთვნილებააო!".

„**Weekly World News**"

**„ფანტაზიის" კომენტარი:** *ქრონოლოგიური იდიოტიზმი, როგორც ჩანს ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთი განუკურნებელი სენია.*



*გერმანია:*

## კანცლერის მეუღლე და სტუდენტის საეჭვო ქმედებანი

გერმანიის კანცლერის მეუღლე ჰანელორა კოლი ერთ საღამოს დიდ ხანს გასცქეროდა აგარაკიდან შორეულ პანორამას... ბინოკლით. გარკვეული დროის შემდეგ იგი მიიჭრა რადიოტელეფონთან და ჟანდარმერია გამოიძახა. საქმე იმაშია, რომ ავსტრიაში ყოფნისას, ვოლფგანგზეეს ტბის შუაში, მან შენიშნა ვილაც ყმაწვილი კაცის შიშველი *(უკაცრავად თქვენთან —რედ.)* „უკანა ნაწილი" და მოესმა იმავე ყმაწვილის ყვირილი:

—„ჰელმუტ, ჰელმუტ, ჰელმუტ!"

მას შემდეგ ორი წელი გავიდა და კანცლერის მეუღლის სიმშვიდის დამარღვეველი, 24 წლის იოსტ კერკმანი ახლაღა წარდგა ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის სასამართლოს წინაშე. მას ბრალად ედება ის, რომ მან, გაიშიშვლა რა სხეულის ქვედა ნაწილის უკანა მხარე, ეს ნაწილი მიმართა ბატონი კოლისაკენ და ხმამაღლა გაჰყვიროდა მის სახელს. სტუდენტმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა 4000 შილინგის ოდენობით ან 6 დღე გაატაროს საპატიმროში.

— მე ვერაფრით წარმოვიდგენდი — განაცხადა ბრალდებულმა სტუდენტმა — რომ გერმანიის პირველი ლედი ბინოკლით უცხო პიროვნების შიშველ ნაწილებს დაუწყებდა თვალთვალს.

**„Последные новости" №38**

**„ფანტაზიის" კომენტარი:** *არსებობს ერთი ძველი ანეკდოტი — ერთმა შუახნის ქალბატონმა განცხადებით მიმართა მილიციას: — ჩემი ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლში უხამს სცენებს ვხედავო. სამართალდამცავი პირი ეწვია ხსენებულ ქალბატონს, დიდხანს იყურა ფანჯარაში, მაგრამ ვერაფერი დაინახა და უსაყვედურა სახლის პატრონ ქალბატონს ცილისმწამებლური განცხადების თაობაზე, პასუხად კი მიიღო:*

*— აბა, გარდერობზე ადი და იქიდან გაიხედეო!*




*მონაკო:*

## პრინცესა სტეფანიას მორიგი საეჭვო ვნებათაღელვანი

მონაკოს პრინცესა სტეფანიამ სკანდალების მოყვარულ პრესას მორიგი „საკვები" გაუმზადა. თავის ყოფილ მცველსა და ქმართან განშორების ერთი წლის შემდეგ, სულიერი ჭრილობების მოშუშებისას, მას კვლავ შეუყვარდა თავისი პირადი მცველი, სახელად აჰმედი. ითვალისწინებენ რა პრინცესას დაუოკებელ ხასიათს, მიმომხილველები არ გამორიცხავენ იმ ფაქტს, რომ თავბრუდამხვევი სისწრაფით დაწყებული რომანი, როგორც ეს მონაკოს ლაჟვარდოვან ნაპირზე ხდება ხოლმე, შესაძლოა, ქორწილითაც დამთავრდეს.

სტეფანია იმედოვნებს, რომ იგი კვლავ მოახერხებს თავისი ვენეციელი მამის, მონაკოს თავადის, რენიე II-ის თანხმობის მიღებას და მორიგ საეჭვო პიროვნებასთან იქორწინებს. მიმომხილველები იმასაც იხსენებენ, რომ მამის თანხმობის მისაღებად სტეფანიას თავისი ყოფილი საქმროსაგან, დანიელ დიუკრესაგან ორი შვილის გაჩენა მოუხდა.

„**The sunday telegraphe**"

**„ფანტაზიის" კომენტარი:** *როგორც ჩანს, „უფლისწულის და მათხოვრის" თემა კვლავაც აქტუალურია.*



*ინგლისი:*

## საეჭვო ბრძოლა ინგლისის ტახტისათვის

ფართო ყურები, მსხვილი ცხვირი, ტუჩების გამოკვეთილი მოხაზულობა... უეჭველი მსგავსება მომენტალურად ხვდება თვალს, თუკი ნახავთ ინგლისის ტახტის მემკვიდრის, პრინც ჩარლზის კონკურენტის, ვინმე გიუნტერ ფოკეს ფოტოს. ეს პიროვნება 1946 წლის 12 ივლისსაა დაბადებული ბრემენის სიახლოვეს მდებარე პატარა ქალაქში. მას ერთობ მოკრძალებული პროფესია აქვს, იგი ტელემექანიკოსია და... პრეტენზიას აცხადებს ინგლისის ტახტზე.

ბატონი ფოკე, რომელიც 28 წლის ასაკიდან ინგლისში ცხოვრობს აცხადებს, რომ უელსის პრინცი ჩარლზი მისი ღვიძლი ძმაა, ხოლო 76 წლის პრინცი ფილიპი მამამისია. ეს სკანდალური ვერსია უეცრად ამოტივტივდა ვინმე მარია-კაროლინა ფოკეს აღსარების შემდეგ. მისი თქმით: მეორე მსოფლიო ომის დროს მას რომანი ჰქონდა ინგლისელ ოფიცერთან, რომლის ვინაობასაც ფრაუ მარია-კაროლინა შვილს არ უცხადებდა. „საიდუმლოს" ფარდა აეხადა მაშინ, როცა გიუნტერის მეუღლემ შემთხვევით ნახა პრინც ფილიპის ფოტო და შეჰკივლა — ნუთუ ჩემი ქმარი ამ კაცის შვილიაო?!

გიუნტერ ფოკეს პირადმა ადვოკატმა განაცხადა, რომ პრინცი ფილიპი ვალდებულია სისხლის ანალიზი ჩააბაროს და თუ არ იზამს ამას, აღიძვრება მორიგი სკანდალური საქმე. გიუნტერ ფოკე კი აცხადებს: „მე არ მინდა არც ფული და არც სხვა რამ, მე მხოლოდ ის მსურს, რომ ინგლისის მეფედ მაღიარონ".

„**Daily Star**"

## რატომ ასე გვიან?!

*მოგეხსენებათ, ჩინელ-იაპონელ (ბარემ — კორეელიც ვთქვათ) ვარსკვლავთმრიცხველთა თანახმად, ჩვენი და თქვენი (...და მათიც!) მიმდინარე წელი ვეფხვისთვისაა განკუთვნილი. მართალია, ეს წელი, აგერ უკვე მეორე თვეა, მიმდინარეობს, მაგრამ იმ (ჩვენი ცოდვით სავსე) ვიწროთვალებიანთა კალენდარი სულ სხვა ინფორმაციას გვთავაზობს, რის თანახმადაც ე.წ. „ვეფხვის წელი" სადღაც თებერვალში იწყება, ასე რომ ჩვენი („ფანტაზიის") გამოსვლა საჰოროსკოპო არენაზე ერთობ დროული ფაქტი გახლავთ; ამიტომაც მოვიძიეთ ეს მასალა ვეფხვის შესახებ და თან ის იმედი დავიტოვეთ, რომ ამ ვეფხვის წელს მაინც შევასრულებთ ჩვენს დიდი ხნის სურვილს და „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებულ ფრიად საინტერესო მოსაზრებებს შემოგთავაზებთ... მიმდინარე წელს.*

### ბედი უნდა ყველაფერს!

*...ისე, კაცმა რომ თქვას, განა არ შეიძლებოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას ეს 1998 წელი „ვეფხისტყაოსნის" წლად გამოეცხადებინა?!*

*მარა ვინაა ჩვენი პატრონი?! აბა, ჩვენი შოთა ვინმე იმათი შიუ თიუ რიუ ან შოტონაბე რუსუნაბე ყოფილიყო, გამოაცხადებდენ თუ არა? ე-ე-ჰ, ბედი უნდა ყველაფერს!*

# ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

***ვეფხვი ყველაზე დიდი კატაა დედამიწაზე არსებულთა შორის.*** მათ შორის ყველაზე პატარა – სუმატრის ვეფხვი – სიგრძით 1,5 მეტრია, ყველაზე დიდი კი – ამურისპირეთის ვეფხვი – 270 სანტიმეტრი სიგრძისაა კუდის გაუთვალისწინებლად. ამურისა და უსურიის ვეფხვები წონით 300 კილოგრამს აღემატებიან, მაშინ როცა ყველაზე დიდი ლომის წონა 200 კილოგრამს არ სცილდება.

***ვეფხვი ყველაზე ღონიერი***




***კატისებრი ცხოველია ყველა დანარჩენს შორის.*** ასე მაგალითად, გარეული ხარის გათრევა მას 10-15 მეტრის მანძილზე შეუძლია, რაც 10-15 კაცს ერთადაც კი გაუჭირდებათ; ზრდასრული ცხენის თრევა ვეფხვს დაუსვენებლად თითქმის ნახევარი კილომეტრის მანძილზე ძალუძს; ვეფხვები ზოგჯერ ახალგაზრდა სპილოებსაც კი ესხმიან თავს.

***ვეფხვი ყველაზე ხარბი ცხოველია მის მსგავსთა შორის.*** ის, როგორც წესი, გარეული ღორებით, ირმებით და ანტილოპებით იკვებება, მაგრამ შიმშილის დროს ის

**...ადამიანმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ცხოველთა მეფედ ლომი აღიარა...**

მისთვის არც ისეთ „სამარცხვინო" საკვებზე ამბობს უარს, როგორიცაა კურდღელი, მელია, ტურა, მაჩვი და ბაყაყიც კი. თუ ვეფხვმა ვერაფრის დაჭერა ვერ შეძლო, მას თავისუფლად შეუძლია შეჭამოს ტყის ჩვეულებრივი კენკრა. ვეფხვის ცხოვრების მკვლევარი ზოოლოგები ამტკიცებენ, რომ ამ ცხოველის

## „...ვეფხვი პირ-გამეხებული"

ყუველდღიური რაციონი 7-9 კგ. საკვებს მოიცავს, რაც ორჯერ აღემატება წონით ლომის „მენიუს", თუმცა დაფიქსირებულია ფაქტები, როცა ინდოეთის ვეფხვს დღეში 50 კილოგრამი ხორცი შეუჭამია.

***ვეფხვი ყველაზე კარგი მცურავია, ყველა დანარჩენ კატისებრთა შორის.*** კარგად გამაძღარი ვეფხვი, აუცილებლად მიდის წყალთან და ხარბად ეწაფება მას და თანაც სვამს ისე, რომ მთელი ხახა წყალში აქვს ჩაყოფილი. ვეფხვი საერთოდ არ უფრთხის წყალს, მას შეუძლია საჭმლის მონელებისას საათობით იწვეს წყალში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად შეუძლია გადაცუროს ისეთი მდინარე, როგორიცაა განგი.



***ვეფხვი ყველაზე მზრუნველი კატისებრია დედამიწაზე.*** ძუ ვეფხვი ბოკვერებს შობს ძალზედ იშვიათად და ისიც ორს ან სამს; განსხვავებით სხვათაგან, ვეფხვი თავის შვილს ორი-სამი წელი აცხოვრებს თავისთან, თუმცა არაიშვიათად დედა-შვილს მთელი ცხოვრებაც კი გაუტარებიათ ერთად. ძალზედ საინტერესოა ისეთი ფაქტიც, რომ ვეფხვებს ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით, მამობრივი გრძნობაც კი გააჩნიათ. მართალია, ძუ-ვეფხვი ხვადს ახლოს არ აკარებს პატარა ბოკვერთან, მაგრამ „ალსაზრდელის" ზრდასრულობისას მამა აუცილებლად ერევა შვილის საბოლოო „დავაჟკაცებაში" და განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მის მიმართ. რაც არ უნდა მშიერი იყოს მამალი ვეფხვი, იგი საკვებს არ მიეკარება მანამ, სანამ შიმშილის გრძნობას არ დაიოკებენ მისი მეორე ნახევარი და შვილები და თუ დედალ-მამალი ერთად ჭამს, ეს იმას ნიშნავს, რომ ძუმ, ასე ვთქვათ, დააძალა ხვადს „ტრაპეზის" გაზიარება.

***ვეფხვი ყველაზე იშვიათი კატაა ყველა დანარჩენს შორის.*** მისი ყველა სახეობა წითელ წიგნშია შეტანილი. ადამიანის უგნურების გამოისობით ამ ცხოველის პოპულაცია კატასტროფულად იკლებს. თუ ამ საუკუნის 30-იან წლებში დედამიწაზე დაახლოებით 100 000 ვეფხვი ბინადრობდა, დღევანდელ დღეს მათი რაოდენობა 4000-ს არ აღემატება და მათ შორის 3000 ინდოეთში და ინდოჩინეთში ცხოვრობს. დედამიწის დანარჩენ რეგიონებში კი მხოლოდ თითოოროლა ვეფხვიღაა შემორჩენილი. ასე მაგალითად, ამურისპირეთში მხოლოდ 150 ერთეულია დაცული, ირანსა და ავღანეთში მათი რიცხვი 50-ზე მეტი არ არის, კუნძულ იავაზე სულ რაღაც 12 ვეფხვი დარჩა, ხოლო ამ ცხოველის ყველაზე პატარა სახეობის, სუმატრელი ვეფხვის, სამშობლოში, ეს მშვენიერი არსება საერთოდ განადგურებულია.

სიხარბეს აყოლილი ადამიანები ვეფხვების უმოწყალოდ ხოცვას განაგრძობენ, რათა მათი მშვენიერი ტყავი იგდონ ხელთ და ამაოებით მოყაშყაშე საზოგადოებაში უნიკალური ნივთით თავი მოიწონონ. ვეფხვის მოკვლის მიზეზი ხშირად მათგან თავდაცვის აუცილებლობა ხდება, მაგრამ ეს უფრო საბაბია იმისათვის, რომ ხსენებული ტყავი მოიპოვონ და შემდგომ სარფიანად გაყიდონ, თუმცაღა მათზე მონადირეებმა მშვენივრად იციან, რომ ვეფხვი ადამიანს თავს ძალზედ იშვიათად და უკიდურეს სიტუაციებში ესხმის და ეს არასოდეს არ არის გამოწვეული ცხოველის შიმშილით; ადამიანზე თავდასხმა, როგორც წესი, თავად ადამიანის მიზეზითვე ხდება.

*ვეფხვების რაოდენობის კატასტროფულმა შემცირებამ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია დააფიქრა და მათ აქტიურად გამოიღეს ხელი ამ მშვენიერი არსების დასაცავად. როგორც ითქვა, ვეფხვი დღეს წითელ წიგნშია შეტანილი და გონივრულად მოაზროვნე ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სიტყვა „ვეფხვი" ჩვენი შთამომავლობისათვის ისეთივე უცხო და გაუგებარ ცნებად არ დარჩეს, როგორიცაა ის მრავალი ცხოველი, რომლებსაც ჩვენი, მეოცესაუკუნელთა, თაობები მხოლოდ ლეგენდებისა და მითების საშუალებით იცნობს.*

**ცნობისათვის:**

**საქართველოში უკანასკნელი ვეფხვი ამ საუკუნის 30-იან წლებში სოფელ დიღომთან მოკლეს.**

# ACROSS-მეთქი!

6. ქალაქი, სადაც 1994 წ. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი გაიმართა.




**14. იხილეთ ფოტო.**
**17. იხილეთ ფოტო.**
18. ვინ არის ის კაცი, რომელმაც, ჭაობში ჩავარდნილმა, თავისი თავი და ცხენი ერთად ამოიყვანა საკუთარი ხელით? 19. ყველაზე ლამაზი ბოშა პერსონაჟი ლიტერატურიდანაც და კინოდანაც.
**20. იხილეთ ფოტო.**
21. ერთ დროს საქართველოს კუთვნილი საკურორტო დაბა სოჭის მახლობლად. 22. მეფის რუსეთის დროინდელი სამართალდამცავი პირი.




**23. იხილეთ ფოტო.**
24. ებრაული წარმოშობის საბჭოთა პიანისტი, ჰენრიხ ...1888-1964. 26. „ქალისმჭრელი“ სამედიცინო სფერო. 30. რა „წოდება“ აქვს ვინმე ენუქს ქართული კინოდან? 31. ლიტერატურული ნაწარმოების გარდაქმნა სხვა ხელოვნებებისათვის. 34. აკაკი კვანტალიანის პოპულარული კინოპერსონაჟი. 36. ახლო წარსულში პოლიტიკოსის რანგში ასული ქართველი ეკონომისტი. 38. ფრანგი დრამატურგი, ავტორი თანამედროვე „ანტიგონესი“. 39. ციური სხეულის ორბიტის უახლოესი წერტილი დედამიწასთან. 41. რეკეტიორის ძირითადი „ამპლუა“.




**42. იხილეთ ფოტო.**
48. თავისუფლების ქანდაკების ინგლისური სახელი. 50. შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორების, მამა-შვილის გვარი. 52. თანამედროვე (ბიზნეს-იზირ-ებ-ული) სამყაროს მთავარი პრობლემა. 53. გაზ. „ფანტაზიის“ 1998 წ. №3-ის ერთ-ერთი პერსონაჟი. 55. ვოკალური ქმნილება. 56. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი... 1779-1823 წწ. 58. თვისება, რომელსაც ყოველი სახელმწიფო დიდი აქტიურობით უნერგავს თავის მოქალაქეებს. 59. ფრანგული ლიტერატურისა და სცენის დიდება. 61. ღვთისმსახურების სახესხვაობა. 63. ქართველი კინორეჟისორი. 65. მძლეოსნური ინვენტარი. 67. საეკლესიო-ენერგოკრიზისული ინვენტარი. 69. ხმელთაშუა ზღვაში ბალეარის არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძული. 72. ჩვენი ყველაზე „ერთგული“ ფრინველი. 74. მრავალპლანიანი, კლასიკური მუსიკალური ნაწარმოები.




**76. იხილეთ ფოტო.**
77. რა შექმნა მიხაი ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნისათვის“ (მხ.რ.)? 78. ახლო წარსულში ხანმოკლედ აღზევებული ლიდერი რუსეთისა. 79. ზღვის სანაპიროზე მქროლავი ქარი. 82. რუსი მხატვარი-პერედვიჟნიკი... 1841-1910. 85. ბიჭმა გოგო რომ ნახა „მოხვეულში“ (ოდელია-რანუნი), რა უქნა მას (ოდელია-რანუნი)? 86. ქართული ესტრადის დიდებული კომიკოსი. 87. მაშ, რა იყო (...და არის?!) ქართველი „ძველი ბიჭების“ ძირითადი პროფესია სარფი-ქუთაისი-თბილისის შოპ-მაგისტრალზე? 88. ქალაქი-პორტი ეგეოსის ზღვის სანაპიროზე. 89. აფროდიტეს კოლეგა-ქალღმერთი ინდუიზმის პანთეონიდან. 91. ფირმა „ერიქსონის“ კოლეგა-კონკურენტი თბილისის მობილურ საკომუნიკაციო ქსელში (... და „სამარიაჟოში“). 94. პირველყოფილი ადამიანის სახესხვაობა (ბერძნულად ნიშნავს „გამოქვაბულის კაცს“). 95. სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა, როცა მასში ფედერალური ერთეულები არ არსებობს. 96. IX და XII ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. 97. ბრტყელი კუთხის საზომი ერთეული. 98. საზამთროებითა და ზუთხით ცნობილი რუსეთის ვოლგისპირა ქალაქი.
**99. იხილეთ ფოტო.**
**100. იხილეთ ფოტო.**















**1. იხილეთ ფოტო.**
2. ალპინისტის დასაპყრობი სივრცე. 3. სივრცე, რომელმაც ქართველ საბავშვო მწერალს, შიოს, ფსევდონიმი შეუქმნა. 4. ქალაქი შოტლანდიაში; 5. დანტე ალიგიერის და გალილეო გალილეის მშობლიური ქალაქი; 6. ქუთაისელი მილიციელი ქართულ კინემატოგრაფში. 7. სასულიერო დანიშნულების უმაღლესი სასწავლებელი; 8. ქალაქი ინგლისში, რომელმაც ერთ-ერთ საცხენოსნო შეჯიბრს „ნათლიობა“ გაუწია. 9. დასავლელ ქართველთა კარმიდამოს დამხმარე ნაგებობა. 10. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 5 და 10 კმ-ზე სირბილში. 11. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი. 12. მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა. 13. ახლო წარსული საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ლიდერი. 14. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი. 15. სტილისტური მიმდინარეობა გვიანი ფეოდალიზმის ხანის კულტურაში. 16. თანამედროვე მუსლიმანური სამყაროს ერთ-ერთი თვითმპყრობელი ლიდერი. 18. სამოხელეო ჩინი სპარსელების ბატონობისას V საუკუნის საქართველოში (სიტყვასიტყვით „საზღვრის მცველი“ – სპარსულად). 25. „სანტა-ბარბარასეული“ პერსონაჟი ქალი. 26. მთავარი პერსონაჟის სახელი ლაშა თაბუკაშვილის პიესიდან – „ძველი ვალსი“. 27. რა უნდა გატყდეს უიღბლობისას. 28. ამერიკული სამყაროს კრიმინალური ელემენტი. 29. ვალერი ჩკალოვის საყვარელი სამოღაწეო სფერო. 32. ქალაქი საფრანგეთში. 33. XVI ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. 35. ქალაქი-გმირი ყირიმის ნახევარკუნძულზე. 37. რა მოკლა ჭრიჭინამ. 39. პრესაში გამოსაქვეყნებელი ანალიტიკურ-კრიტიკული ხასიათის წერილი. 40. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „ჟან კრისტოფი“.
**43. იხილეთ ფოტო.**
44. „გინესის წიგნში“ შესული ქართველი მოგზაური. 45. ოფიციალური სიშიშვლის სივრცე. 46. „ინტიმური კავშირის მოყვარული“ მცენარე. 47. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი. 48. ლეგენდარული კანონმდებელი სპარტიდან ძვ.წ.აღ. IX–VIII სს.

# აქანა-DOWN!

**49. იხილეთ ფოტო.**
51. ადამიანის სხეულის საკომუნიკაციო ელემენტი. 53. ავტორი პიესისა „მეტეხის ჩრდილში“. 54. ჩეხეთის ისტორიული რეგიონი. 57. რუსული პრესის ერთ-ერთი სტაჟიანი გაზეთი. 58. ინგლისური კალვინიზმის ერთ-ერთი გვიანდელი განშტოება. 60. ადამიანის ყოველდამური მასპინძელი. 62. ასტროლოგიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში. 64. ფეოდალური იაპონიის მილიტარისტულად განწყობილი ობიექტი. 66. (პარუნ) მკრტიჩიანი, მეტსახელად „ფრუნზიკა“. 68. ყველაზე დიდი ახალი ქალაქი. 69. იურმალაში პრემიერებული რუსული ესტრადის მომღერალი.







**70. იხილეთ ფოტო.**
71. (გთხოვთ, რუკა მოიმარჯვოთ) პატარა ქალაქი გერმანიის ქვემო საქსონიაში. 73. ქალაქი აშშ-ს ოჰაიოს შტატში. 75. ერთობ დიდ გაჭირვებაში მოღვაწე ქართველი მწერალი. 79. ასაფეთქებელი მოწყობილობების ზონარის „ნათლია“. 80. წინასწარ გათვლილი და გამიზნული ქმედება. 81. გულის გამაწვრილებელი აკუსტიკური ფაქტორი. 82. პირველაღმომჩენი, რომელმაც თავისი აღმოჩენის შესახებ არაფერი იცოდა. 83. ზრდილობასთან უმძრახად მყოფი სუბიექტი. 84. სახელი მსახიობისა, რომელმაც პრინცესას რომში არდადეგები გაატარებინა. 90. ლიტერატურული თომას სანათესაო ტიტული. 91. სამიჯნურო ურთიერთობისათვის გამზადებული ყმაწვილი ქალი (ქარგ.) – სხვათა შორის, ივრითის ენაზე ნიშნავს „ცოლს“. 92. ადამიანის თანმდევი უხილავი ველი; 93. ფართობის საზომი არატრადიციული ერთეული.









# ლივერპულელი ცასია

## დედოფალი — მის ცხოვრებაში

*გასულ წელს ჩვენი გაზეთი იუწყებოდა იმას, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-ემ პოლ ჯეიმს მაკარტნის რაინდის წოდება მიანიჭა, მანვე მიაკუთვნა ცნობილ მუსიკოსს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი; ახლა პოლი ორგზის ორდენოსანია, პირველი ასეთი ორდენი მას გადეცა 1965 წელს ჯორჯთან, რინგოსთან და ჯონთან ერთად.*

*...ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენს „დიად სამშობლოში" ლივერპულელი გრძელთმიანი ბიჭების ხსენებაც კი არ შეიძლებოდა.*

## ლენონი - მის ცხოვრებაში

პოლ მაკარტნიმ ჯონ ლენონი თავზეხელაღებული ლივერპულელი ბიჭების რაღაც შეკრებაზე გაიცნო. მაშინ პოლი სკოლის მოსწავლე იყო და თავისი ჯგუფი „Quanymen" ჰქონდა ჩამოყალიბებული. ჭაბუკმა ლენონმა მოუსმინა მათ და შეჰპირდა, რომ როგორმე გამონახავდა მათთვის თავისუფალ დროს, გულში კი უეჭველად გაიელო შური იმისა გამო, რომ ეს ცაცია ბიჭუნა მასზე უკეთ უკრავდა გიტარაზე. მაშინ ისინი 14 წლისანი იყვნენ...



მცირე ხნის შემდეგ თავდაჯერებული და ამაყი ლენონი იძულებული გახდა პოლი თავის ჯგუფში მიეწვია და „გასამრჯელოდ" მისგან აკორდების შესწავლა დაუთქვა, რასაც ბიჭები სარკის წინ აკეთებდნენ მაკარტნის ხსენებული მემარცხენეობის გამო.

ლენონს მაკარტნისადმი მალე სხვა შურიც გაუჩნდა, როდესაც დარწმუნდა, რომ ლივერპულელ გოგონებს შორის ეს ახლადწვეული ყმაწვილი უფრო მეტი წარმატებით სარგებლობს, თუმცა არასოდეს დაუნახვებია ეს შური არავისთვის... ხსენებული პატივმოყვარეობისა გამო. მიუხედავად ამისა, ლენონი მაინც ვერაფრით ელეოდა პოლს, რადგან იმ ორმოცდაათიანი წლების მიწურულს უკვე მშვენივრად გრძნობდა, რომ მის გარეშე ვერაფრით მოიპოვებდა მსოფლიო დიდებას. მათს აუცილებელ სიახლოვეს იმანც შეუწყო ხელი, რომ ისინი თითქმის ერთდროულად დაობლდნენ და რაღაც სულიერი სიახლოვეც კი იგრძნეს ურთიერთის მიმართ.

კარიერის დასაწყისშივე გაირკვა, რომ პოლ მაკარტნი ვერაფრით ეგუებოდა იმ აზრს, რომ პოპულარობის მოსახვეჭად ელვის პრესლის თუ ბადი ჰოლის მიბაძვაც საკმარისია. ასეთივე აზრისა იყო ჯონიც და ბოლოსდაბოლოს შედეგად ის მიიღეს, რომ მათ შემოქმედებითი ძალები გააერთიანეს და პირობა დათქვეს, რომ, შეტანილი წვლილის მიუხედავად, შექმნილი სიმღერის ავტორებად ორივე მათგანს მოიხსენიებდნენ. მოგვიანებით, როცა მათ შორის დიდი კონფლიქტი წარმოიშვა და მათ „ბითლზის" იმპერიის დაყოფა მოუხდათ, ერთადერთი, რაც ვერ გაიყვეს სწორედ ეს თანაავტორობა იყო, თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ ისეთი პოპულარული სიმღერები, როგორიცაა „Yesterday", „Ob-la-di, Ob-la-da" და „Let it be" მაკარტნის და მხოლოდ მაკარტნის ქმნილებები იყო.

ისიც ყველას ახსოვს, რომ 70-იან წლებში დაიწყო „ბითლზის" სკანდალური რღვევა, რაც ნაირგვარი ფინანსური და საქმიანი მიზეზებით იყო გამოწვეულ და რაშიც, ოთხეულის გარდა, უამრავი არამკითხე იურისტი, ჟურნალისტი და ელიტარული ვიგინდარები იყვნენ ჩარეულნი. ამ რღვევისას ყველაზე მეტად პოლ მაკარტნი დაზარალდა, რადგან იგი სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნიეს მრავალი გამოგონილი უკეთურების მოთავედ და მას, ლენონის გარდა, ჯორჯ ჰარისონმა და რინგო სტარმაც აქციეს ზურგი. მაგრამ 1974 წელს ყველასათვის მოულოდნელად ლენონი და მაკარტნი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ნიუიორკში და კვლავ ალაპარაკდნენ უსაქმური ვიგინდარების ხროვები — „ჯონი და პოლი კვლავ ერთად იქნებიანო" — თუმცა ერთად ყოფნას არავინ, არანაირი ფულის ფასად არ აპირებდა. შემდგომ პოლი და ჯონი ორიოდეჯერ კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს და ამ შეხვედრების ინიციატორი ყოველთვის პოლი იყო. ერთხელ მან გიტარა აიღო და დარეკვის გარეშე ესტუმრა ლენონს, რაც მასპინძელს ძალზედ არ მოეწონა და მიახალა: „მისმინე, პოლ, ახლა 1957 წელი არ არის და ჩვენ ლივერპულში არ ვართ, ასე რომ, გთხოვ, მოსვლამდე აუცილებლად წინასწარ დამირეკო".

***იგი ერთხელ მოიხსენიეს, როგორც ყველაზე დიდი კომპოზიტორი ბეთჰოვენის შემდეგ, ხოლო მისი სიმღერა „Yesterday" ყველა დროის ყველაზე პოპულარული სიმღერაა***

1980 წლის დეკემბერში ლენონის სიკვდილმა იმდენად შეაძრწუნა პოლი, რომ იგი ერთ-ერთ თავის მამულში დაიმალა, რაკილა ჩათვალა, რომ ვიღაც მანიაკების ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს „ბითლზის" წევრების განადგურება. სწორედ ამის შემდეგაა იძულებული მაკარტნი, რომ წელიწადში მილიონი დოლარი მხოლოდ პირადი დაცვისათვის, ბრონირებული ლიმუზინებისათვის და ფარული სათვალთვალო კამერებისათვის დახარჯოს.




## ლინდა - მის ცხოვრებაში

1969 წელს ჯონმა და პოლმა ერთდროულად იქორწინეს და თუ ლენონისათვის ეს უკვე მეორე ქორწინება იყო, მსოფლიო სექსსიმბოლოდ აღიარებული 27 წლის პოლი პირველად ქორწინდებოდა.

მანამდე კი პოლის ცხოვრებაში იყო ქალი — ჯეინ ეშერი, რომელსაც ყველა მის საცოლედ თვლიდა, მაგრამ 1966 წელს ისინი გაუგებარი მიზეზით დაშორდნენ ერთმანეთს და პოლი კარგა ხანს აღარ ჩანდა ესტრადაზე, რამაც შვა თეორია „ნამდვილი მაკარტნის სიკვდილისა და მისი ორეულით შეცვლის" შესახებ. დეპრესიის დამთავრების შემდეგ, 67-ში პოლმა ბოჰემური ლამაზმანი ლინდა ისტმენი გაიცნო, რომელსაც დაუსწრებელი სიყვარული ჰქონდა პოპულარული „ბითლის" მიმართ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის იმაში, რომ პარალელურად გათხოვილიყო და პატარა გოგონაც შესძენოდა. ლინდას დიდხანს არ უცხოვრია ქმართან, რადგან თავქარიანი გოგონა ილტვოდა კალიფორნიისაკენ, სადაც მაშინ გამაოგნებელი „სამება" — სექსი, ნარკოტიკები და როკ-ნ-როლი ბატონობდა. სწორედ აქ „გააოგნეს" ლინდა „ბითლზის" სიმღერებმა და მასაც სიგიჟემდე შეუყვარდა ეს „ლივერპულელი ხოჭოები", რომელთაგან ყველაზე მეტად ლენონი მოსწონდა, თუმცა ბედმა მაკარტნისთან დაქორწინება არგუნა.

პოლმა, ყველასათვის გასაოცრად, ძალზედ დიდი სიყვარული გამოამჟღავნა ლინდას პატარა გოგონას მიმართ, თუმცა ბოროტი ენები იმას ამტკიცებდნენ, რომ ეს „მლიქვნელური" ჟესტი პოლმა თავისი სიმამრის, ცნობილი ადვოკატის ლი ისტმენის საამებლად გამოამჟღავნა; ლი ისტმენს ხომ „ბითლზის" საქმეების განხილვა ევალა! ასეა თუ ისე, 1970 წლის 11 აპრილს პოლმა „ბითლზი" მიატოვა და თავისი ჯგუფი „Wings" (ფრთები) ჩამოაყალიბა, სადაც ლინდას ფორტეპიანოს პარტიების შესრულება დაავალა. როგორც შემდგომში გაირკვა ეს არც მოჩვენებითობა იყო და არც მლიქვნელობა — პოლს ნამდვილად იმ ზომამდე უყვარდა ლინდა, რომ მის გარეშე სცენაზედაც აღარ გამოდიოდა. **Wings**-მა რაღაც გარკვეული წარმატებაც კი მოიპოვა შოუ-ბიზნესის სამყაროში, თუმცა ბედნიერი ცოლ-ქმარი თავის მთავარ წარმატებად მაინც იმას თვლის, რომ მათ ამქვეყნიერებას ოთხი შვილი შემატეს!

ახლა პოლი და ლინდა მყუდრო, სკანდალებს მოკლებულ ცხოვრებას ეწევიან, რითაც აშკარად არსებობის საშუალებას უსპობენ ჭორებისა და სენსაციების მოყვარულებს. ერთადერთი საჭორაო თემა, რაც პოლ მაკარტნის პირად ცხოვრებას შეეხება ის არის, რომ ლინდას 1995 წელს ონკოლოგიური პრობლემა გაუჩნდა და მას სიმსივნე ამოჰკვეთეს; ახლა მთელი მსოფლიოს პრესა თვალყურს ადევნებს ლინდა ისტმენის ჯანმრთელობას და თავის „საკბილოს" ელის, რადგან ასეთი ვარსლვლავის მდორე ცხოვრებას ვერავინ ეგუება.

ბედნიერი ცოლ-ქმარი კი მშვიდად განაგრძობს ცხოვრებას თავის მამულში და ამ ბოლო დროს რატომღაც ცხოველთა დაცვის პრობლემებით დაინტერსდნენ; მათ ერთხელ საფრანგეთის პრეზიდენტს ოფიციალური პროტესტითაც კი მიმართეს — „აკრძალეთ ხბო(რ)ების გადაყვანა ხის კონტეინერებითო"...(?!).

აი, მხოლოდ ეს აწუხებთ!

# MERCEDEZ-ები და ადამიანები



ერთ ჩვენებურს გზაზე „მერსედესი“ გაუფუჭდა – გაჩერდა და აღარ დაიქოქა. ახადა კაპოტი, უყურა, უყურა, ვერაფერი გაუგო. გააჩერა მეორე „მერსედესი“, იმისმა მძღოლმაც უყურა, უყურა და დაასკვნა – რაღაც „სეკრეტი“ გაქვსო. გააჩერეს მესამე „მერსედესი“, იმ მესამეს მძღოლმაც უყურა, უყურა და დაასკვნა - ალბათ, რამე „სეკრეტი“ გაქვსო.

უსმინა, უსმინა, გაფუჭებული „მერსედესის“ მძღოლმა და წამოიყვირა: ცოლისდასთან „ვცხოვრობ“ და ეგ არის ჩემი „სეკრეტი“, მაგრამ „მერსედესი“ რა შუაშია?!

❁ ❁ ❁

ავტოინსპექტორი გზაზე მომავალ „მერსედესს“ აჩერებს. გადმოდის მძღოლი და იწყებს დავას:

– ვითომ რაო, რა, ძალიან ჩქარა მოვდიოდი?!

– არა, თქვენ ძალიან ნელა მოფრინავდით!

❁ ❁ ❁

ქუთაისში საგზაო პოლიციელი (თლა!) ცინცხალ „მერსედესს“ აჩერებს. გადმოდის ჭიჭიკია:

– რა იყო, ძამა – გგონია „პრავა“ არ გვაქვენ?! აგერ, გაჩვენებ და გამიშვებ?

– მართვის მოწმობა არ მინდა, მოქალაქევ!

– აპა, ფული გინდა?!

– არა, ხელისგული მაჩვენე – უნდა ვნახო რა სიგრძისაა შენი სიცოცხლის ხაზი და კიდევ რამდენ ხანს ამიშლი ნერვებს!

## შემეცნებითი დიალოგი

პროფესორი:

– დამისახელეთ ადამიანის ორგანო, რომელსაც შეუძლია ათჯერ გაზრდა.

აუდიტორიაში:

– ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!

პროფესორი:

– მე ვასახელებ – ეს თვალის კაკალი, ის კი, რაც თქვენ გაიფიქრით, იზრდება მხოლოდ ორნახევარჯერ.

## თეორია და პრაქტიკა

ფირმის ძველი თანამშრომელი ქალი ეკითხება (პროვინციელ) დამწყებ მდივან ქალს:

– როგორი ფაქსი აქვს ჩვენს პრეზიდენტს?

– (პაუზა) ... არ ვიცი, ჯერ არ მაზომინებს.

## საზრიანობის სიკეთე

ქმარი ბრუნდება სახლში და ხედავს, რომ საწოლის ქვეშიდან დიდი უკანალი მოჩანს.

– რა არის ეს? – ყვირის ქმარი.

– ესა?! ესა?! უი, ესა ტაშტია, ქა – პასუხობს ცოლი.

ქმარი წიხლს არტყამს „ტაშტს“ და ისმის:

– ბომ, ბო—ო-ო-მ! ბო—ო-ო-მ! ბო—ო-ო-მ!

## რუსული ამბავი

ერთი ცნობილი ქირურგი საავადმყოფოში შევიდა და ხედავს ყველა ექთანი იცრემლება:

– რა მოხდა? – იკითხა ქირურგმა.

– პეტუხოვი მოკვდა-ა-ა-ა!!!

პალატებში ჩამოიარა და ხედავს – ყველა ავადმყოფი ქალი ტირის:

– რა მოხდა? – იკითხა ქირურგმა.

– პეტუხოვი მოკვდა-ა-ა-ა!!!

ქირურგი ე.წ. „მორგში“ ჩავიდა და ხედავს – ქალაქის მეძავები შეკრებილან და ტირიან:

– რა მოხდა? – იკითხა ქირურგმა.

– პეტუხოვი მოკვდა-ა-ა-ა!!!

ქირურგმა მკვდარ პეტუხოვს დახედა და ხედავს – მას უზარმაზარი „სამამაკაცო“ აქვს. ქირურგმა იფიქრა – მოდი, მოვაჭრი და სტუდენტებს ვაჩვენებ, როგორც ბუნების ფენომენს. თქვა და მოაჭრა კიდეც, იმ საღამოს „ის ექსპონატი“ სახლში წაიღო და თავის კაბინეტში დადო. ქირურგი დასაძინებლად რომ წვებოდა, მისი ცოლი კაბინეტში შევიდა დასალაგებლად და უცებ ქირურგს ცოლის ტირილი მოესმა:

– რა მოხდა? – იკითხა ქირურგმა.

– პეტუხოვი მოკვდა-ა-ა-ა!!!

## რუსული დიალოგი

**Жена говорит мужу:**

**- А ты знаешь, что наша невестка гуляет?**

**- Это ее проблемы.**

**- Но она изменяет нашему сыну.**

**- Это его проблемы.**

**- Но изменяет-то она с тобой!**

**- Это мои проблемы.**

**- А как же я?**

**- А это твои проблемы**

## რუსული ანეკდოტი

პოლიკლინიკაში ბანკის მმართველი მიდის და ეუბნება:

– გამაგებინეთ, ვის მივმართო?! – მე ლამისაა გავგიჟდე – „რუბლი“ სულ ვარდება და ვარდება.

– თუ სიგიჟეს ამჩნევთ საკუთარ თავს, მაშინ ფსიქიატრს უნდა მიმართოთ... რაც შეეხება „სულ ვარდნას“ – ეს უკვე სექსოპათოლოგის საქმეა.

# მსუბუქი ეროტიკა – ჯანმრთელობის სამსახურში

**როგორ რეაგირებენ სხვადასხვა ერის ქალები ქმრის ღალატზე:**

**ფრანგ ქალს თუ ქმარმა ერთხელ უღალატა, ქალი მას ორჯერ ღალატობს.**

**რუს ქალს თუ ქმარმა უღალატა, ქალი მას მთელი ცხოვრება ღალატობს**

**ზანგი:**

**თუ ზანგს ქმარმა უღალატა, ქმარს თხუთმეტ სანტიმეტრს აჭრიან; თუ კიდევ უღალატა, კიდევ თხუთმეტ სანტიმეტრს აჭრიან... მერე კი მას მხოლოდ თხუთმეტი სანტიმეტრი რომ რჩება, ღალატზე აღარ ფიქრობს.**



✸ ✸ ✸

**ოდესა. ზღვაში ულამაზესი ქალი ბანაობს. მასთან მიცურავს ყმაწვილი კაცი და ეუბნება:**

**– ხომ არ ითამაშებდით ჩემთან „მანქანა-გარაჟობანას“?**

**– ეს როგორ?!**

**– მე ჩემს მანქანას თქვენს გარაჟში ვაჩერებ და ვიხდი ფულს.**

**– 100 დოლარს! – უმალ ერთვება თამაშში ქალი.**

**წყალში „თამაშმა“ წარმატებით ჩაიარა, ნაპირზე გამოსვლისას კი ყმაწვილმა ქალს 50 დოლარი გადაუხადა.**

**– რატომ – 50?!**

**– იმიტომ, რომ მანქანა უბორბლებოდ გამაჩერებინეთ.**

✸ ✸ ✸

**მათ ერთმანეთი ბარში გაიცნეს. კაცმა ქალი თავისთან მიიყვანა, ჭიქა ღვინო შესთავაზა და ჰკითხა:**

**– უარს ხომ არ იტყოდით, ჩემს გვერდით... ნუ.. ასე ვთქვათ, ღამის „გათევაზე“.**

**– ასეთი შემთხვევა მე ჯერ არ მქონია.**

**– კაცთან არ ყოფილხართ?!**

**– არა, სულელო, ჯერ უარი არ მითქვამს!**

## რუსული აფორიზმი

კარგ პომადას შეუძლია გაალამაზოს არა მარტო ქალის ტუჩები, არამედ მამაკაცის ლოყაც.

## რუსული ლოგიკა

**ახლადდაქორწინებულებმა საწოლის თავთან ყულაბა ჩამოკიდეს და ქმარი ყოველი „აქტის“ შემდეგ ხუთმანეთიანებს აგდებდა შიგ. ერთხელაც ქმარს ფული დასჭირდა და ყულაბა რომ გატეხა, იქ ხუთმანეთიანების გარდა ათმანეთიანები და რამდენიმე ოცდახუთმანეთიანიც დახვდა.**

**– რა არის ეს?! მე ხომ მხოლოდ ხუთმანეთიანებს ვაგდებდი?! – გაიოცა ქმარმა.**

**– ყველა ხომ შენსავით ძუნწი არ არის? – დაამშვიდა ცოლმა.**

## რუსული გამოცანა

**Слово из трех букв, посередине “У”, иногда шевелится?**

*პასუხი იხილეთ მე-10 გვერდზე.*




**თარაზულად:**

**10**. რა თვისება უნდა ჰქონდეს შეყვარებულს, თუ სურს წარმატების მიღწევა? **11**. ინდონეზიელ შეყვარებულთა კუნძული. **12**. როგორია ხშირად სატრფო მეტრფეს მიმართ? **13**. სოფიკო ჭიაურელის სომეხი (შეყვარებული) კინოპერსონაჟი. **14**. გმირულ-სატრფიალო რომანების ავტორი შუა საუკუნეების შეახებ. **17**. როგორი სიხშირისაა სიყვარული 40 წლის ასაკის შემდეგ? **18**. უიღბლოდ გამიჯნურებული (...ცდუნებული?!) ქალის არაიშვიათი „ტიტული“ ამსუბუქებისას. **20**. რა უხარის მას, ვისაც კარგი ცოლი ჰყავს? (ჰარალალო-ჰარიჰარალე). **21**. ზღვისპირელ შეყვარებულთა ტრადიციული სასეირნო ადგილი. **30**. ექიმი, რომელიც თავისი კვალიფიკაციის მიუხედავად, მაინც ვერაფერს უშველის ცალმხრივი ტრფობის დაუნახავ მონაწილეს. **32**. (შეყვარებულ) ავტომრბოლელთა სპორტული მანქანა. **33**. ჩვენი ფაუნის ქართულსახელიანი მგალობელი ფრინველი. **34**. მამული, რომლისთვისაც „ქარწაღებულნის“ მთავარი პერსონაჟი ქალი სიყვარულსაც კი ივიწყებდა. **36**. მშვენიერების გამოსახატავად ხშირად ხმარებული მეტაფორული სიტყვა კ.გამსახურდიას რომანებიდან. **37**. (დავრჩეთ გამსახურდიასთან... კონსტანტინესთან-მეთქი!) ხელოვნებისათვის



ზოგჯერ ტრფობის ურმყოფელი პერსონაჟი. **38**. XIX ს. რუსი მწერალი. **39**. უმშვენიერესი ფრანგი კინომსახიობი. **42**. (გოსპოჟა) მორდიუკოვა... დიდებული მსახიობი **43**. (დავრჩეთ არტისტებთან) რა უნდა გაიარო ნამდვილი სიყვარულის წინ... მსახიობთა ენაზე? **44**. რუსული სინამდვილის გენია. **47**. სკოლაში „წარმოებული“ სიყვარულის ხშირი თანამდევი „სასჯელი“. **48**. ქართული მელოდრამა მოღალატე ქმრის შესახებ („...სინსილა, სინსილა უნდა გაწყდეს მამაკაცების!“) **50**. დედალი ცხენი. **51**. ბერძნული წარმოშობის სახელი ქალისა. **52**. იგივეა, რაც არენა. **55**. ...და მაინც რა სდევს ხოლმე თან სიყვარულს? **56**. საქონლის ნაირგვარობა და მრავალფეროვნება. **58**. უიღბლო შეყვარებული ლეონიდ კურავლიოვის კინორეპერტუარიდან. **59**. როგორი არ არის სიყვარული... საერთო ჯამში?

**შვეულად:**

**1**. ქართული ფილმი შეყვარებული მეშახტეების სესახებ. **2**. ქალაქი ავსტრალიაში. **3**. რა უდევს ხოლმე მკერდში ცალმხრივი სიყვარულის უკარება ობიექტს? **4**. საქართველოს კურორტი. **5**. არსება, რომელსაც საფლავში (მაინც!) ვერ ჩაჰყვები **6**. თანამედროვე კოლუმბიელი მწერალი. **7**. ვაჟასეულ „სტუმარ-მასპინძლის“ პროლოგში ნახსენები ქალის სხეულის (ლამაზი) ნაწილი **8**. მითოლოგიური სადამსჯელო სარეცელის „პატრონი“. **9**. აშშ-ს შტატი. **15**. სისხლძარღვთა დაავადება. **16**. შეყვარებული სერგოს როლის შემსრულებელი მსახიობი. **19**. ქალაქი აშშ-ში. **22**. ათენის უძველესი ნაგებობა. **23**. ამა თუ იმ პუბლიკაციის მოკლე მიმოხილვა. **24**.



ყველაზე ცნობილი ფარმაცევტი ქართული კინოდან. **25**. მიბაძვის სახესხვაობა. **26**. უიღბლო და იღბლიანი შეყვარებულების დამაკავშირებელი გრძნობა. **27**. (სინდი კროუფორდის „საყვარელი“) მღრღნელი. **28**. თანამედროვე ინგლისელი როკ-მომღერალი. **29**. დედაქალაქის ცდუნებებს დახარბებული სუბიექტი. **31**. რა რელიგიური რიტუალიც კი ვერ შველის ხოლმე უიღბლო შეყვარებულს? **35**. სამუზეუმო ნივთი. **40**. როგორი (მოურიდებელი) უნდა იყო, რომ სიყვარულში წარმატებას მიაღწიო? **41**. რა არის გულმკვდარი მიჯნურისათვის სატრფოს ხილვა... უებარობის გათვალისწინებით? **45**. იგივეა, რაც შარაგზა. **46**. შეყვარებული ფეხბურთელი ქართული კინოდან. **49**. რელიეფის ზედაპირის ჩაღრმავებული ნაწილი. **53**. ქრისტიანული სამყაროს წმინდანი. **54**. ქალაქი ურალში.

### გასული ნომრის ტესტის პასუხები

| | | |
|---|---|---|
| 1-A | 6-A | 11-A |
| 2-B | 7-C | 12-A |
| 3-C | 8-B | 13-B |
| 4-c | 9-B | 14-A |
| 5-A | 10-A | 15-B |

რუსული გამოცანა (მე-9 გვ.) – МУЖ

### გასული ნომრის პასუხები

პირველი გვერდი (თარაზულად) 7. სახლმმართველი. 8. ულიანა. 9. ნენოვა. 10. ირტიში. 12. იარუსი. 14. სიქსტის მადონა. (შვეულად) 1. ლაპლანდია. 2. ალვა. 3. ამხანაგის. 4. ფრანციუმი. 5. ჩვენ. 6. კლავესინი. 11. არსი. 13. რადა.

ილუსტრირებული კროსვორდი. *(თარაზულად)* 4. კონაკრი. 8. სპილბერგი. 13. ბერგმანი. 15. პეკინი. 16. კალეიდოსკოპი. 17. დემირელი. 21. ტეტჩერი. 22. ადრესატი. 24. კარენინა. 25. მარლონ. 26. ეში. 27. ძეფირელი. 28. აუგი. 29. აჟაზა. 30. სინსილა 31. მაიემატიკა. 35. გრემ. 36. პიტი. 37. შანიძე. 39. კადრჩნიკოვი. 40. ემისია. 43. თალმუდი. 44. ტარიგი. 45. დოდე. 46. გრინვიჩი. 48. ოვიედო. 49. ოგონიოკი. 51. ლევიტანი. 52. გრინი. 53. სანაძე. 54. ბონდი. 55. კანოე. 56. პნომპენი. 57. პრაღა. 62. რეოპირინი. 64. სუსპენზია. 65. შტატები. 66. მიხო. 68. ოსლო. 70. მინელი. 72. შინელი. 74. ზარბაზანი. 75. ციტატა. 78. ისიდა. 81. ნაგებობა. 82. კარერასი. 83. მსუნაგი. 87. ჩუპრი. 89. რიო-დე-ჟანეირო. 91. ასტრა. 92. ინსპირაცია. 95. ომსკი. 96. მჟაუნა. 97. ნირვანა. 98. აჟა. 99. ტვისტი. 101. რაიკომი. 102. სხარტი. 103. ვაგნერი. 104. ოდესა. 105. ოწინარი. 106. ამინდი. *(შვეულად)* 1. დეპარდიე. 2. უგრეხელიძე. 3. სანდრა. 4. კინსკი. 5. ნემოლიაევა. 6. კაპიტალიზმი. 7. იუკატანი. 9. იოფე. 10. ბორი. 11. რენე. 12. ილფი. 14. ინტერესი. 17. დიკინსონი. 18. მორბელაძე. 19. რენტა. 20. ლუნგდრენი. 23. ტოლსტოი. 29. აკროპოლისი. 31. მაკეტი. 32. თადარიგი. 33. მიჩიგანი. 34. სიამოვნება. 36. პითეკანთროპი. 37. შადრევანი. 38. ემანსიპაცია. 41. სპივაკოვი. 42. არიცია. 46. გოლკიპერი 47. კოცონი. 49. ორანგუტანი. 50. ონომასტიკა. 58. ლანძილი. 59. ვიტორიო. 60. ყურძენი. 61. ჩინელი. 63. აბაშა. 66. მიზანი. 67. ხარაგაული. 69. სტამბა. 71. ბარბარა. 73. ინგმარი. 75. ცუკერტორტი. 76. ტარკოვსკი. 77. ტერიერი. 79. სინგაპური. 80. ასფალტი. 84. გვარდიოლა. 85. ბრაზავილი. 86. გულოვანი. 88. ისფაჰანი. 90. ონტარიო. 93. ცვაიგი. 94. ამასია. 97. ნივა. 100. სვე

კროუფ(ვ)ორდი. თარაზულად: 1. სინდბადი. 7. საშიკო. 11. სოდა. 13. მემფისი. 14. დისიდენტი. 15. ჰალიკარნასი. 16. ტარტაროზი. 18. ელანიძე. 19. ავანტიურა. 20. ვარაზისხევი. 22. აგუტინი. 23. ტალია. 26. ცილინდრი. 28. სტაინბეკი. 29. ოლივიე. 32. სონია. 34. ქეჩი. 36. ბანძა. 37. ნიკაპი. 38. ვშოლა. 39. ლოველასი. 40. ამქარი. 41. მენიუ. 44. გარიბალდი. 46. ლოტაცია. 49. დუნაი. 50. აკროსტიქი. 51. ნავარდი. 52. ალაზა. (შვეულად): 1. სიდნეი. 2. ნოსტალგია. 3. ბადმინტონი. 4. დანტე. 5. ამირბარი. 6. დინამიტი. 7. სიკო. 8. შაჰი. 9. კულჯა. 10. ბრაუნი. 11. სინდიკატი. 12. დესერტი. 13. მიტრა. 17. ზნე. 20. ვისკონტი. 21. ხიდი. 24. აბე. 25. ფსიქოლოგია. 27. ლონდონი. 30. ლაიტმოტივი. 31. იმპორტი. 32. საველე. 33. არამ. 35. ოპელი. 36. ბრამანტე. 41. მიდია. 42. ნინუა. 43. ურიკა. 45. რური. 46. დანი. 47. ცური. 48. ალია.

# სკანდინავიური კროსვორდი







# კიმ ბესინჯერი